საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია.

ფასი 2 მანეთი

სამშაბათი, 11 ნოემბერი 1919 წ. № 198.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ეროვნება

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და **ერთ გვერდზე**. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის **9—2** საათამდე და საღამოს **5—7** საათამდე.

ქ ა ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი: ერთი თვით **50** მან. **3** თვით **180** მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე **2** მ. უკანასკნელზე **1** მ. **50** კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** სამუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს **სამი** გამოცხადებისა **50** მ., **12** საათის შემდეგ **70** მ.

კანტორა ღიაა: დილის **8—2** საათამდე და საღამოს **5—7** საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

დავკარგე ქუთაისის სამაზრო ერობისაგან მიღებული მოწმობა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების **№ 548 16** აგვისტოს **1919** წ. დღეიდან მოწმობას გაუქმებულათ ვაცხადებ.

დავით ირაკლის ძე გიგინეიშვილი.

სასწრაფო საკითხი.

ამ დღეებში გამოქვეყნდა მთავრობის მიერ შეკრებილი სტატისტიკური ცნობები ამა წლის მოსავლის შესახებ ზოგიერთ მაზრაში. ცნობები მეტათ საინტერესოა და ჩასაფიქრებელი. ჯერ-ჯეროვნით დადასტურებულია ცნობები თელავის, თფილისის და ბორჩალოს მაზრების შესახებ. ამ სამ მაზრაში რომ ხალხი საზრდოთი დაკმაყოფილებული იქნეს საჭიროა მიეწოდოს მათ იქ შეკრებილი მოსავლის დასაკმაყოფილებად ხუთ მილიონ ნახევარი ფუთი ხორბალი.

თუმცა დაწვრილებითი ცნობები არ არის სხვა მაზრების შესახებ, მარამ ვიცით მიახლოვებით, რომ მოსავალი სხვა მაზრებშიც ნაკლები იყო და ქუთაისის გუბერნია უარეს მდგომარეობაში თუ არის, თორემ უკეთესში არა

ეს საერთო ნაკლულევანება აუცილებელი საზრდო სურსათისა, მით უფროა საგულისხმო და სახიფათო, რომ სხვიმის კავკასიის ერთ კუთხეში რაც დაკლდებოდათ, მეორე და მესამე კუთხიდან შევავსებდით. დღეს კი ეს უკვე შეუძლებელია, რადგან **მთელს** რესპუბლიკაში ისეთი მაზრა არ არის, რომ იქიდან დაზარალებულ მაზრაში რამე გადაიტანო.

მაშასადამე დავგრჩენია ერთად-ერთი გამოსავალი—**საზრდო უნდა შემოვიტანოთ სხვა სახელმწიფოდან.** გარეშე სახელმწიფოდან სურსათის შემოტანა ყოველთვის ძნელი იყო და დღეს მით უმეტეს, რადგან ფულის ფასიც დაცემულია და მისვლა-მოსვლაც გაძნელებულია. თუ ამას იმ გარემოებასაც დაუმატებთ, რომ ზოგიერთი სახელმწიფო პოლიტიკურათ ჩვენთან მტრულათ არის და ზოგიერთის დამოკიდებულება კიდევ გამოურკვეველია, ცხადი იქნება, რომ სურსათის შემოტანა ჩვენში წელს მეტათ გართულდება. რამდენათაც სურსათის შემოტანა ძნელია, იმდენათ ეს საქმე საჩქაროა და ყოველი დაყოვნება ამ შემთხვევაში განსაცდელის წინაშე დაგვაყენებს.

უკვე აშკარათ ვიცით დღესვე რომ ეს მიმდინარე წელიწადი ჩვენი რესპუბლიკისათვის მეტათ საზარალო იყო და მას დიდძალი სურსათის შემოტანა დასჭირდება.

ვინ უნდა იკისროს ეს დიადი მოვალეობა და ვინ უნდა უზრუნველ ყოს ხალხი სიმშილით სიკვდილისაგან.

ეს სახელმწიფოებრივი მოვალეობა უნდა შეასრულოს **მთავრობამ,** რომლის ინიციატივასაც შესაფერათ უნდა **დაეხმაროს საზოგადოებრივი** ორგანოები: ქალაქის თვითმართველობები, ერობები, კოოპერატივთა კავშირი და ამხანაგობებმა. ამავე დროს მფარველობა უნდა გავუწიოთ კერძო ინიციატივასაც, რადგან უამისოთ შეიძლება საქმე შეფერხდეს და პასუხისგება მეტი შეხვდეს მთავრობასაც და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც.

სულ შეზღუდვა კერძო ინიციატივის ძნელი გასაბედავია, რადგან მწარე გამოცდილებით ვიცით, რომ მეტათ ძნელი შეიქნა სურსათის მომარაგებაც და განაწილებაც.

დღესვე აუცილებელია სურსათის შემოტანის საკითხი დადგეს სასწრაფოთ, **გამოიძებნოს თანხაც** და შეს დგეს სამოქმედო **გეგმაც.**

წელს საჭირო იქნება დიდი თანხაც და დიდძალი ხორბლის შემოტანაც. აუცილებელი იქნება **ამერიკიდან** შემოტანა ჰურისაც და სიმინდისაც, **ამიტომ** რომ სიშორემ და სიძვირემ გაჭირვებაში არ ჩაგვაგდოს ახლავე საჭიროა საქმის დაწყება. თუ **მთავრობამ** ვერ გადასდო საჭირო თანხა იმ **შემთხვევაში** უნდა გამოცხადდეს **შინაური სესხი** განსაკუთრებული მიზნით და ვადით. **სურსათის საჭიროებისათვის** გამოცხადებული სესხი ეჭვს გარეშეა თანაგრძნობით იქნება მიღებული და განაღდებული.

აუცილებელია სურსათის **საკითხი** პირველ რიგში დადგეს ქალაქის თვითმართველობაშიც და ერობის გამგეობაში.

ტრიფონ ჯაფარიძე.

ნუ იქნება უსამართლობა!

დამფუძნებელი კრების „ხელოვნების კომისიის“ განკარგულებაში მწერლებისდა დასახმარებლად რამდენიმე მილიონი მანეთი გადაიდო.

„ხელოვნების კომისია“ კი თავისი მხრით ამ საკითხის მოსაწესრიგებლად მწერლების წარმომადგენლებს იწვევს.

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ გამოურკვეველია თვით „მწერლის“ მცნება და ჩვეულებრივ „მწერლის“ წოდება მარტო პოეტებსა და ბელეტრისტებს აქვთ მინიჭებული.

ეს დიდი შეცდომაა! ცალმხრივობაა!

მწერლობის სარბიელი გაცილებით უფრო ფართოა.

ჩვენ გვჭირდება, როგორც პოეტი და ბელეტრისტი, აგრეთვე მეისტორიე, მეცნიერი ბუნებისმეტყველი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი და სხ.

რომელს მეტი მნიშვნელობა აქვს?? ყველას თანასწორი მნიშვნელობა აქვს, ყველა საჭიროა თავის ადგილზე.

მაგრამ ჩვენა გვყავს დამსახურებული მეისტორიენი, რომელთაც თვალთახედვა დაუკარგავსთ არქივების ძიებაში და ფილტვები გაფუჭებიათ ძველი ქაღალდების მტვერით. იმავე დროს მათს მედგარს, დაუღალავ შრომას ჩვენი ისტორიული წარსული გაუსინათლებია.

და ისინი დავიწყებული არიან! ფართო საზოგადოებამ მათი შრომა არ დააფასა: არც იუბილე გადაუხდია მათთვის და არც უბრალო მადლობა უთქვამს ვისმე.

და ნურავინ იფიქრებს, რომ იუბილე უმნიშვნელო რამ იყოს. პირიქით, ეს—გადახდილი მადლობაა, ჯილდოა, დაფასებაა ღვაწლის.

მაშასადამე **იუბილეს—ზნეობრივი** მნიშვნელობა აქვს.

გვყავს აგრეთვე დამსახურებული ჟურნალისტები და პუბლიცისტები, რომელთაც არც კი სთვლიან მწერლებად.

ესეც ხომ უსამართლობაა!

პუბლიცისტი ერთსადაიმავე დროს ხელოვანიც არის, მეცნიერიცა და ფილოსოფოსიც.

პუბლიცისტის ნაწერში, როგორც ფოკუსში, ერთსადაიმავე დროს თავს იყრის ხელოვნება, მეცნიერება და ფილოსოფია.

იმავე დროს პუბლიცისტს უნდა ჰქონდეს ეგრეთწოდებული სოციალური ალღო, რომელიც მას არ მოასვენებს, ვიდრე ის საზოგადოებრივს საჭირვარამო საკითხებს არ გამოეხმაურა.

დიალ! პუბლიცისტს, რომელიც ფარხმლად ცოდნასა და ხელოვნურ ნიჭსა ხმარობს, გულში ცეცხლი აქვს ანთებული და გული სტკივა საზოგადოების სატკივრით, უხარია საზოგადოების სიხარული!

ის ერთსა და იმავე დროს გმობს, აკრიტიკებს, აქებს, ინიციატივას იძლევა, წინასწარმეტყველებს, გლოვობს და ზეიმობს!

და მისი ენა უნდა იყოს მკვეთრი, გამომხატველი, ძლიერი და სადა.

დიალ! პუბლიცისტი **იმდენადვე** მნიშვნელოვანია, **რამდენადაც** პოეტი და ბელეტრისტი.

და, თუ მარტო **პოეტები** და ბელეტრისტები **ჩასთვალეს** მწერლებად, —**დიდი** უსამართლობა იქნება.

ვასილ წერეთელი.

კიდევ მუქარა.

მმართველი პარტია გვემუქრება (იხ. „ერთობა“ 9 ნოემბ).

ეროვნულ-დემოკრატები მთავრობის პოლიტიკას აკრიტიკებენ და უცხოელებთან გვაბეზღებენო.

უკანასკნელი ბრალდება, რასაკვირველია, ცილის წამებაა.

როდესაც ამერიკის მისსიის წევრები ეროვნული-დემოკრატიის წარმომადგენლებთან იყვნენ საქართველოს

დღიური.

ვერსალის ხელშეკრულება ძალაში შევიდა.

ჩერჩილმა განაცხადა რომ ინგლისი ბოლშევიკებს აღარ დაეხმარებაო.

მოკავშირეები მოითხოვს რომ გერმანიამ 10 დღის განმავლობაში გადასცეს ყველა წყალქვეშა ნავები. წინააღმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებიან.

მოხალისეთა ჯარი ცარიცინის მიმართულებით შეტევაზე გადავიდა.

ბოლშევიკებმა ქ. ჩერნიგოვი აიღეს.

ბოლშევიკებმა სად. „ტალოვაია"-დან ოცი ვერსტით უკან დაიხიეს.

ბოლშევიკებმა ნოვო ხოპერის მიმართულებით სად. „პოვორიკოსკენ" დაიხიეს.

ცარიცინის მიმართულებით გენ. ვრანგელი ბოლშევიკებს ამარცხებს.

საქართველოს მთავრობასა და ინგლისის მისიის შორის მოხდა შეთანხმება, რის შემდეგ აღდგენილ იქნება ფოშტა ტელეგრაფის ნორმალური მოწესრიგება ბათუმსა და საქართველოს შორის.

შესახებ ცნობების შესაკრებად, ეროვნულმა-დემოკრატებმა გამომკითხველების წინაშე მთავრობის პოლიტიკა სავსებით გაამართლეს და აღიარეს, მთავრობას არ შეეძლო სხვა გვარად მოქცეულიყო.

ამგვარადვე მოიქცა ყველა ეროვნული-დემოკრატი, რომელიც კი კონსტანტინეპოლში ან ევროპაში იყო დელეგატად გაგზავნილი.

მაგრამ მმართველი პარტია მოითხოვს მეტს: ეროვნული-დემოკრატია არც შინ უნდა აკრიტიკებდეს მთავრობის პოლიტიკასი.

მაგრამ, მთავრობის პოლიტიკა თუ კრიტიკის გარეშე დარჩა, საღლა იქნება ის მოპირდაპირე წონა, რომელსაც შეუძლია ცალი მხრისკენ გადახრილი პოლიტიკა გაასწოროს?

ეს—შეუძლებელი მოთხოვნაა!

გვეუბნებიან: რაც თუნდა დიდი შეცდომა მოუვიდეს მთავრობას, არ გაბედოთ რისამე თქმა, თვარა უცხოელები შეიტყობენ და ჩვენს დამოუკიდებლობას არ აღიარებენო!

მაგრამ ამის ერთად ერთი წამალი ეს არის: ნუ ჩაიდენენ შეცდომას: აწარმოონ სწორი პოლიტიკა.

მერე კიდევ: ტყუილა იმედია, ვითომ ევროპას რასმე გამოვაპარებთ: ჩვენ მაგიერად სხვები ეტყვიან.

მოხსენება

დასავლეთ-საქართველოს ექიმთა პროფესიონალური კავშირის საზოგადო კრებას.

1889 წელს დაარსდა ექიმთა საზოგადოება, რომლის წესდება დიდი გაჭირვებით და ხვეწნით დავამტკიცებიე მთავრობას პეტერბურგში; ამ საზოგადოებას მეცნიერული ხასიათის გარდა, მიზნათ ჰქონდა ექიმების შეკავშირება და საერთო ძალებით გუბერნიაში მუშაობის წარმოება, განსაკუთრებით სანიტარიაზე. საუბედუროდ, ამ საზოგადოებამ ვერ მიიმხრო ექიმების ჯეროვანი ყურადღება და საერთო მუშაობისათვის ვერ შეკრიბა ექიმთა ძალები; თანდათან ყოველივე ინტერესი დაკარგა და ბოლოს სრულიად მიიძინა. მართალია, ბევრი გარემოება ხელს გვიშლიდა: მეცნიერულ მოღვაწეობას აქ კი არა, თბილისშიდაც არ ჰქონდა ნიადაგი საექიმო ნაწილის მოუწყობლობის გამო, რაც შეეხება სანიტარიაზე ზრუნვას, ანუ სხვადასხვა პროფესიონალურ საკითხების გარჩევას; ამის ნება ჩვენ არ გვქონდა და ყოველივე ეს სავსებით მთავრობის და მათი ჩინოვნიკების ხელში იყო. ექიმს ბევრი სპეციალური საკითხების გარჩევის დროსაც არაფერი არ ეკითხებოდა.

ამ გარემოებამ უსიტყვო, უფლება ახდილ პირებათ და მხოლოდ სხვისი ბრძანების აღმასრულებელ ორგანოთ გვაქცია. ჩვენი ყოველგვარი უფლება, ჩვენი პიროვნება მთავრობისაგან გათელილი იყო და ამას, რასაკვირველია, საზოგადოების თვალშიდაც დიდი გავლენა ჰქონდა: ისიც ჩვენ მედიდურად გვიყურებდა და მხოლოდ მაშინ გვეფერებოდა, როდესაც ჩვენ მათთვის საჭირო ვიყავით: ჩვენ პიროვნებაზედ, ჩვენ უფლებაზე, მოთხოვნილებაზე, ის არაოდეს არ ფიქრობდა და ამავე დროს გრძნობდა, რომ ჩვენი შრომის ყიდვა ყოველთვის ადვილად შეეძლო: თუ ერთი უარს ეტყოდა, მეორეს მიმართავდა და ამით საქმე თავდებოდა. განა ჩვენ ოდესმე ამაზედ პროტესტი გაგვიცხადებია: არა და არა!

ამ პირობებში ვმუშაობდით ჩვენ ექიმები რევოლიუციის დაწყებამდე, რომელმაც ყოველისფერი შეცვალა და ის, რაც უწინ სიზმრათაც არ გვინახავს, დღეს სინამდვილეთ გარდაიქცა; ამ შესანიშნავი ხანათი ყველა კოლექტივებმა ისარგებლა და თავისუფლების მოპოვებაზე დაიწყო ზრუნვა. ჩვენც ექიმები, რომელნიც მუდამ უნდა ვყოფილიყავით აღჭურვილნი სოლიდალური გრძნობებით, როგორც ისეთი პროფესიის წარმომადგენელნი, რომელიც დასაკავშირებელ ცემენტათ ყოფნიდა ის, რომ ჩვენ მუდამ საერთო მეცნიერული მომზადება გვქონდა, საერთო საზოგადოებრივი ინტერესები, რომელნიც უფლებას გვაძლევდა სხვა კოლექტივებთა შორის ხმა აგვემაღლა და ის ბორკილები, რომელნიც ჩვენ ძველი რეჟიმის დროს მთავრობამ დაგვადვა, თავიდან მოგვეშორებია; ჩვენ ვალდებული ვიყავით ნამდვილ მეცნიერებაზე და ხალხის ინტერესებზე დაგვემყარებია ჩვენი მუშაობა. თუ ეს ასე მოხდებოდა, მაშინ ჩვენი პიროვნება უსაფუძვლოდ გათელილი მთავრობისაგან, დაცული იქნებოდა. ჩვენ ასედაც მოვიქეცით:

1 მაისს, 1917 წელს ქუთაისის გუბერნიის ექიმთა კავშირი დავაარსეთ და ვიმედოვნებდით, რომ ამის შემდეგ შევსძლებდით ამხანაგების შეკავშირებას, მათ კულტურულ-უფლებრივ, მეცნიერულ და პროფესიონალურ საქმეების ცხოვრებაში საუკეთესოდ გატარებას და აგრეთვე მთელ გუბერნიაში საექიმო-სანიტარულ საქმის ახლად, რაციონალურ ნიადაგზე დაყენებას და მით, რაც შეიძლება ხელს შევუწყობდით ახალს წესწყობილებას. რომ მას ხალხის ინტერესები უფრო ფართოდ დაეკმაყოფილებია.

ეს იყო ჩვენი მიზანი კავშირის დაარსებისა და მეორე კიდევ უფრო საგულისხმო,—ზნეობითად აღმაღლებულიყავით და ის არა სასიამოვნო მითქმა მოთქმა, რომელიც ჩვენ ზედ საზოგადოებაში ტრიალებს, სამუდამოდ მოსპობილიყო. საუბედუროდ, ეს მოთხოვნილებანი, რომელთაც ჩვენგან მიღებული და მთავრობისაგან დამტკიცებული წესდება გვავალებს ჯეროვანად ვერ შევასრულეთ და დღესაც საზოგადოებას აქვს სრული უფლება მოგვმართოს: „ექიმო, ჯერ შენ განიკურნეო"! ძველი რეჟიმის დროს ჩვენ გუბერნიაში ძლივს მოინახებოდა რამოდენიმე ამხანაგი, რომელიც მიღებულ უნივერსტეტში ფიცს ასრულებდა და ამხანაგურ ეთიკას იცავდა; დიდი უმეტესობა კი იმის შესრულებისთვის თავს არ იწუხებდა: პირადი თავის ინტერესების სამსახური, ამხანაგის დამცირება, მისი ზურგზს უკან დაცინვა, უსაფუძვლო კრიტიკა, ბევრი უკანონო მოქმედებაც მათ შორის გამეფებული იყო და დღესაც არის. ამისთანა პირებისათვის ჩვენი კავშირი მავნე ორგანოთაც შეიქმნა და გასაკვირალი არარის, რომ მას ხშირად გაურბიან. განა ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჩვენ დაგვჭირდებოდა წესდებაში შეტანა მეშვიდე პარაგრაფისა? განა ექიმი უნდა გაურბოდეს თავის ამხანაგების წრეს და იძულებითი უნდა იყოს მისი კავშირში ჩაწერა? ვინც ამას ჩადის, ჩვენ ცხადად გვაჩვენებს, რომ ის ბევრს უკანონო და სინიდისის წინაამღდეგ საქმეებს აწარმოებს. კავშირის ვალია, რომ მათი მოქმედება გაშუქებული იყოს და ამ გვარად მოიშოროს ის ჩირქი, რომელიც მას ეცხება ამისთანა ამხანაგებისაგან.

არ ვიცი, რა მიზეზის გამო მოხდა ასეთი ზნეობითი დაქვეითება ექიმებისა, ეს უწინ ასე არ იყო, რამოდენათაც მახსოვს; ექიმებს ჰქონდათ ერთმანეთში ერთგვარი, ოჯახური კავშირი მაინც. დღეს რას ვხედავთ:

და განა, რაც ანტანტამ უკვე იცის, იმაზე მეტს რასმე ვამბობთ?!

მეორე მხრით, არც ის ვარგა, ანტანტა დავარწმუნოთ, რომ ჩვენში ოპოზიცია არ არის.

პირიქით, ანტანტამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენშიაც არის ძლიერი ოპოზიცია, ფხიზელი პოლიტიკური მიმდინარეობა.

არა, ბატონებო! მაგგვარი ბავშური უსაბუთობითა და უსუსური მუქარით თავისუფალ აზრს ვერ შებორკავთ!

და, თუ შებორკავთ, ნამდვილ ბოლშევიკებად გადიქცევით ჩვენი ქვეყნის და სავალალოდ.

ნესტარი.

უკანასკნელი ცნობები

(საქ. დეპეშათა სააგენტო)

შეთანხმება ფოსტა-ტელეგრაფის ურთიერთობის აღდგენის შესახებ ბათომის ოლქში.

თფილისი, ნოემბრის 8, 7 ნოემბერს საქართველოს მთავრობის და ბათუმის ოლქის სამხედრო სარდლობის ფოსტა-ტელეგრაფის სექციის უფროსის კაპიტან გოუტის სახით დაიდო ხელშეკრულება რესპუბლიკისა და ინგლისელების მიერ დროებით დაპყრობილ ბათუმის ოლქის შორის ფოსტა ტელეგრაფის ურთიერთობის აღდგენის შესახებ. ფოსტა-ტელეგრაფის კავშირი განახლდება სავსებით. ფულის გადაგზავნა ტელეგრაფით და ფოსტით.—დეპეშები შეიძლება გაიგზავნოს ბათუმში და ბათუმიდან საქართველოში ქართულ და სხვა ენებზე. ეს შეთანხმება ძალაში შედის ამ წლის ნოემბრის 10-ღან.

საქართველოს დელეგატი რომში.

იტალიური გაზეთ „ჯურნალე იტალია"-ში შემდეგი სწერია: „გრაფმა სპორცამ მიიღო საქართველოს დელეგაცია, რომელიც გუშინ ჩამოვიდა თფილისიდან.

დელეგაციის მიზანია პოლიტიკური და ეკონომიური კავშირის გაბმა ჩვენს ქვეყანასთან, ამ რიგათ, საქართველოს დელეგაციის მუშაობა გაგრძელებაა იმ მუშაობის, რომლის წარმოება იტალიის მისიამ გაბას მეთაურობით, საქართველოში დაიწყო

იტალიის საზოგადოებრივი აზრი ცოცხალი სიმპატიით ესალმება ახალ სასიამოვნო სტუმრებს სიმპატიურ და ძვირფას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკიდან, რომლებიც ელიან ხალხის უზენაესი ნების ყოფისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ცნობას."

ახალი ამბავი

ქუთაისი.

შევარდენთა საზოგადოება. ახლად დაარსებული შევარდენთა საზოგადოების მუშაობა წარმატებით მიდის. ქალაქის გამგეობამ ამ საზოგადოებას უკვე მისცა საკუთარი ბინა თეთრ ხიდდან ყოფილ სასტუმროს დარბაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. ბინა მზადდება და ამ დღეებში იქ მოთავსდება საზოგადოების კონცელარია, სამმართველო და სხვა.

✦ **საეპარქიო საბჭო** ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს თხოვს გელათის მონასტერს მოემატოს მესამე დარაჯი ხაზინის ხარჯით.

✦ **ყაჩაღობა** ამ დღეებში ქალაქის სასაკლაოს იქეთ მიზანა ჭოხონელიძეს, ლევან ნოსელიძეს და სხვა ახლობელ სოფლებში მცხოვრებთ ბოროტ განზრახველები დაუხვდენ წაართვეს საგზალი და ცოტაოდენი ფული.

✦ **წყალში გადავარდა** 5 ნოემბერს მდინარე რიონში სომხების ეკლესიასთან უცაბედათ გადავარდა პეტროს ვართანიანცი. იგი ამოიყვანეს და სამხედრო გოსპიტალში გაგზავნეს.

✦ **ზარალის ანაზღაურება** ფოთის ქალაქის თავი ადმინისტრაციის ინსპეკტორის თანაშემწეს სთხოვს. აღძრას შუამდგომლობა რათა აუნაზღაურდესთ ზარალი იმ პირთ, რომლების სახლებიც დაზარალდენ ჯარის აქ ყოფნის დროს. ზარალი უდრის 27,026 მ 74 კაპ.

ამ თხოვნის დასაკმაყოფილებლად ადმინისტრაციის ინსპეკტორის თანაშემწემ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროში.

✦ ბოლშევიკური **„პროკლამაციები“**, 6 ნოემბერს ღამის 12 საათზედ თბილისში ავტომობილებით დაქროდენ და ყოველ მთავარ ქუჩაში ბოლშევიკურ პროკლამაციებს ფანტავდენ.

✦ **გამოგონება.** ივ. მამაჯანოვმა მეექვსეთ გადააკეთა თვის მიერ გამოგონილი ჯარა განსხვავებული ჩვეულებრივ ჯარასთან, ჯარა აკეთებს ძაფებს მატყლიდან, ბამბიდან და აბრეშუმიდან. მასთანვე ავტომატის საშუალებით ახვევს ძაფებს კოჭებზე. კოჭებზე აგრეთვე შალეულობიდანაც ახვევს.

ქალაქის საგზო.

(გაგრძელება 7 ნოემ.)

შეწყვეტილ კრებას თავმჯდომარე განახლებულად აცხადებს. **თავმჯდომარე** მომხდარი ინციდენტის გამო სიტყვა ეკუთვნის **კილაძეს:** მე კარგად ვიცი რომ ტრ. ჯაფარიძე მოსმხრეა გადასახადების, მაგრამ რომ მან იმ ბრბოს გული მოიგოს რომელიც აქ იყო დღეს, წინააღმდეგ ილაშქრებს რომ გადასახადები გადიდებულ იქნას. აქ შემოვიდა წინადადება რომ კილასონია სრულიად განდევნილი იქნას ხმოსნობისაგან, მე მოგახსენებთ რომ ეს აღელვების მიზეზია, მე მგონია რომ უკეთესი იქნებოდა სიმშვიდე გვეხმარა, და ისეთი მსჯავრი დავდოთ ხმოსან კილასონიას, რომელიც მას ეკუთვნის. ჩემი წინადადება იქნება რომ კილასონია დათხოვნილ იქნას ხუთი სხდომიდან.

ს. რობაქიძე. მე ვერ წარმომიდგენია, რომ ქალაქის თავის მოადგილეს თქვენგან ნდობით აღჭურვილს უთხრან რომ თქვენ პოგრომისკენ მოუწოდებთ ხალხსო. ეს ალბათ მისი ბრალია რომ მას არ ესმის პოგრომი რას ნიშნავს, თუ ეს მან შეგნებით წარმოსთქვა მაშვინ ან იმას არ ექნება ადგილი აქ და ან მე.

კილასონია. ბატონებო! სპეკულიანტები ვაჭრებშიდაც ბევრია და პარტიებშიდაც. მე არ მითქვამს რომ ქალაქის თავის მოადგილე მსურველია პოგრომისთქო, არა მე ასეთი დასკვნა გამოვიყვანე, რომ მან განაცხადა არა ერთხელ და ათჯერ რომ ვაჭრები 25 ჯერ აძრობენ ხალხს ტყავს, ამას რომ ხალხი გაიგონებს ისეთი მაღალი პიროვნებისგან, როგორც არის ქალაქის თავის მოადგილე, იტყვის რომ 25 ჯელ ტყავი რომ გაგვძრეს ამას ის სჯობია ერთხელ მოვსპო ვაჭარი, და მაშვინ ეს იქნება მიმართული პოგრომისკენ.

ტრ. ჯაფარიძე. ბატონებო! ამ აურ-ზაურში ჩვენი პარტია შეურაცყვეს არა დაუშვებელი სიტყვებით, და გვარის დაუსახელებლივ ისა სჯობია უკანვე წაიღოს თავისი სიტყვები. აქ სთქვეს რომ ტრ. ჯაფარიძე ხალხის გულის მოსაგებათ იყო წინააღმდეგი გადასახადების გადიდებისო მე მოგახსენებთ ბატონებო რომ ეს ტყუილია-ცილის წამებაა.

პაპავა. მე არა სხდომაზე შევეხე პარტიას და არა სხდომაზე გაგცემთ პასუხს.

ვ. წერეთელი. ბატონებო აქ ამდონი ხალხის შეკრება სრულიად მოულოდნელი იყო ფრაქციისთვის, თუ ვისმეს აქვს ეჭვი რომ აქ ჩვენმა ფრაქციამ [illegible] ხალხი, ეს შეცდომაა. ფრაქცია უვალოა ამ საქმეში, თუ პიროვნებამ მოიყვანა-ეს დანაშაულობაა საიდანაც არ უნდა იყოს იგი. აქ გვიკიჟინებდენ ეროვნ. დემოკ. ფრაქციაში სულ სხვას ლაპარაკობდენო. რაც კაბინეთებში ითქმის ის აქ ყველა მოსატანი არ არის. აქ ჩვენ მხოლოდ დასაბუთებული სიტყვებით გამოვდივართ.

გავაშელი. მე ვერ წარმომიდგენია რომ ის ხალხი რომელიც აქ იყო თავმოყრილი თავისით მოსულიყოს, აქ იყვნენ სპეკულიანტები და მიკიტნები. მე ვამბობ რომ ისინი განგებ არიან მოყვანილი. კილასონიას გამოსვლა აუცილებლივ დასჯილი უნდა იქნეს, ის უნდა გავაძეოთ არა უმცირეს ხუთი სხდომისა.

ალ. თორაძის სიტყვა ბ-ნო! თქვენ გსურთ ხმოსან კილასონიას მოქმედებას, მის სიტყვებს მიმართულს ქალაქის თავის მოადგილისადმი სასტიკი და შეუბრალებელი მსჯავრი დასდვათ.

მე თქვენ გეკითხებით, ამ ჟამათ საერთო მღელვარების დროს, როცა საბჭოს მთელი შემადგენლობა, ყველა ხმოსნები და გამგეობის წევრნიც არა ჩვეულებრივად მღელვარებას შეუპყრია, შეიძლება თუ არა ნამდვილი სამართლის გაჩენა, პიროვნების საქციელის მიუდგომლათ განსჯა და ქვალიფიკაცია.

ყველა დამეთანხმება, რომ ეს შექმნილ პირობებში, პსიხოლოგიურათ ყოვლათ შეუძლებელია.

მეც, როგორც ყოველი თქვენგანი, მეტათ აღშფოთებული ვარ; მხოლოთ მიზეზი ჩვენი და პირადათ ჩემი ესოდენ უზომო გულის ტკივილის ის არ არის, რამაც თქვენი აღშფოთება გამოიწვია.

მე ის მაშფოთებს, რომ თქვენმა ფრაქციამ (მიმართავს სოციალ-დემოკრატებს) სულიად უმართებულო და უსაფუძლოთ შეურაცყო ჩვენი პიროვნებანი და ჩვენი ფრაქცია.

ამ პირადულ და პარტიულ შეურაცყობაზე, მე აქ, ამ დარბაზში, საბჭოს კრებაზე, თავს ვიკავებ მე მსურს მხოლოდ მოუწოდა ხმოსნებს, როგორც ხმოსნებს და არა როგორც სხვა და სხვა პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენელთ, მოიკრიფონ გონება და მოისმინონ ჩემი აზრი მომხდარ ინციდენტის შესახებ.

ვიყოთ მიუდგომელი და სწორი, გავიხსენოთ რა მოხდა და რაში მდგომარეობს დანაშაული, თქვენი გულისწყრომა რომ გამოიწვია და რომლისთვისაც ულმობლად გსურთ საბჭოს წევრის, ხმოსან კილასონიას დასჯა.

დაინიშნება მთავრობისაგან ექიმი ქუთაისში, თუ თავის ნებით დაბინავდება აქ საჭუშაოდ, მაშინვე მიყოფს ხელს განცხადებებს; გამოაკრავს კარებზე და სხვა და სხვა ადგილებზე ორ არშინიან განცხადებებს, სადაც აღნიშნავს თავის სპეციალობას, (ახლა ხომ ყველა სპეციალისტია!) და შეუდგება პრაკტიკს, ერთი სიტყვით იმ სახით, იქცევიან, რომ მუშტარი შეიძინონ, ნუ თუ ეს არის ჩვენი მოვალეობა!!

დღეს ჩვენი კრება ვალდებულია თავისი აზრი და შეხედულება გამოთქვას ამ გვარ ამხანაგების მოქმედებაზე და სავალდებულოდ ყველა კავშირის წევრისა დაადგინოს იმ გვარი წესები, რომელთაც შეეძლოს გამეფებული დღეს ჩვენს დარგში უწესოების მოსპობა თუ ეს არ მოწესრიგდა და ყველა ჩვენგანმა ის ეთიკა აწარმოვა, რომელიც მისთვის პირადათ ხელსაყრელია, მიუხედავათ მისა, რომ ამნაირი მოქმედება მთელ ჩვენს კავშირს ჩირქსა სცხებს, მაშინ კავშირი თავის მნიშვნელობას სამუდამოთ დაკარგავს საზოგადოების თვალში და სჯობია, რომ ის არ არსებობდეს. თქვენგან არჩეულს პრეზიდიუმს ბევრჯერ ჰქონდა მსჯელობა ამის შესახებ, მაგრამ უშედეგოთ; ექიმობამ ვაჭრული ხასიათი მიიღო და ბევრს შემთხვევაში ბოროტმოქმედებითიც.

ამ წლინახევრის განმავლობაში ჩვენ მოვიწვიეთ რამოდენჯერმე არა ჩვეულებრივი კრებები სხა და სხვა საჭრო კითხვების გადასაწყვეტად და რაც შეეხება პრეზიდიუმის სხდომებს, იმათ ხომ ანგარიში არ ჰქონდა, დიდი მუშაობა გვქონდა გამართული, რომლის დასამტკიცებლად კმარა, რომ თვალი გადაავლოთ ჩვენს ოქმებს. ბევრი ღონე ვიხმარეთ, რომ ის დიდი საქმე, რომელიც ამ წელიწადში მოხდა, რიგიანად მოგვეწესრიგებია: მე ვგულისხმობ ერობის შემოღებას და მისი საექიმო ნაწილის მოწყობას, აგრეთვე ექიმების მობილიზაციას, რომელმაც დიდი განგაში ექიმებს და საზოგადოების შორის გამოიწვია, მაგრამ ამაზედ შემდეგ. საზოგადოდ, ჩვენი კავშირი და მისი პრეზიდიუმი სცდილობდენ, რომ საექიმო ნაწილი გუბერნიაში ჯეროვანად მოეწყოთ ხალხის სასარგებლოდ; ის უწევდა ანგარიშს ყოველივე დაწესებულებებს და შემუშავებულ გეგმას აწვდიდა მათ საექიმო ნაწილის მოსაწყობად. ხშირად პროტესტებსაც აცხადებდა, თუ რომელიმე დაწესებულება მოინდომებდა მის დაუკითხავად საექიმო ნაწილის მოწყობას.

რასაკვირველია, ეს მუშაობა ჩვენ არ გვაკმაყოფილებდა და ამისთვის დღევანდელ საზოგადო კრებას მოგმართავთ, რომ ჩვენი პროგრამმა იყოს გაფართოვებული და ყოველივე კრების **გადაწყვეტილება მტკიცეთ გატარებული ჩვენს წევრთა შორის.** ის არ კმარა, რომ კავშირის დადგენილებანი რამოდენიმე წევრისათვის იყოს სავალდებულო და დანარჩენებს კი შეეძლოთ **თავისებურად** საექიმო საქმის წარმოება და თავის დიპლომის გამოყენება, როგორც სავაჭრო პატენტისა. ჩვენ უნდა შევადგენდეთ ისეთს კოლექტივს, რომელიც თავის დარგში პირდაპირ უნდა **კანონმდებობდეს და არც ერთს მომუშავე ექიმს არ შეეძლოს კავშირის გარეთ დარჩენა** და თავის საექიმო საქმის წარმოება ჩვენი წესდების წინააღმდეგ. მე მგონია, ეს ისეთი კანონიერი მოთხოვნილება, რომ მაგას არც ერთი **სინდისიანი** ექიმი არ უნდა გაექცეს. ამით ჩვენ ექიმების თავისუფლებას კიარ ვზღუდავთ, არამედ გვსურს, რომ მან თავისი წმინდა მოვალეობა საზოგადოების წინაშე არ დაივიწყოს და უხერხული, უტაქტიკო და ხანდისხან უსინდისო მოქმედებით ჩირქი არ მოცხოს მთელ წოდებას. თუ საქმე ასე იქნება დაყენებული, ყველა ანგარიშს გაუწევს ჩვენგან გამოტანილი დადგენილებებს და ექიმის სახელს ამით აღვამაღლებთ, მაშინ საზოგადოება ჩვენ ანგარიშს გაგვიწევს და ექიმის სახელი არ იქნება ისეთ დამცირებული, როგორც დღეს არის. ჩვენ უნდა შევსწყვიტოთ ყოველგვარი კავშირი, ნაცნობობა და მეგობრობა ისეთ პირებთან, რომელნიც ჩვენ კავშირს გვერდს უვლიან და ზიზღით იხსენებენ იმისთვის, რომ მან ხელი არ დააფარა მათ უზნეო მოქმედებას.

დოქტორი მედიცინისა დიმ. ნაზაროვი.

(შემდეგი იქნება).

ბ—ნო, თუ თქვენ გსურთ სამართლიანი იყოთ, არ შეგიძლიათ არ აღიაროთ ერთი ის, რომ დღევანდელ გრძელი კამათის განმავლობაში, რომელშიაც კილასონიაც იღებდა მონაწილეობას, რამოდენიმე ორატორმა მეტათ მწარე, გესლიანი და პიროვნების დამამცირებელი სიტყვები იხმარა ხმოსან კილასონიას მიმართ.

ამას ვგრძნობდი მე, ყოველი თქვენგანიც და მით უმეტეს იგრძნობდა ის ვისკენაც იგი სიტყვები იყო მიმართული, მაგრამ მან ის აიტანა და შეურაცყოფაზე შეურაცყოფით არ უპასუხია.

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში, ის არის და მე მსურს ამ გარემოებას მიაქციოთ ყურადღება, ბ—ნო ხმოსნებო, რომ კილასონიას ჩემის აზრით, უტაკტო სიტყვები, რომლისთვისაც თქვენ გსურთ მისი ჯვარზე ცმა, გამოწვეული იყო ქალაქის თავის მოადგილის, ბ—ნ სერგო რობაქიცის ყოვლათ მიუღებელი და უტაკტო გამოსვლით.

მართალია, ბ—ნო ქალაქის თავის მოადგილევ, თქვენ ხალხის წარმომადგენელი, ე. ი. ჩვენი ნდობით აღჭურვილი ბრძანდებით, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი არჩეული ხართ გმართებთ მიიღოთ ჩვენგან სწორი და სამართლიანი შენიშვნები.

მე ვაცხადებ და შეუძლებელია თქვენ, ბ—ნო ხმოსნებო, არ დამეთანხმოთ, რომ, ჩვენი ქალაქის თავის მოურავის, ბ—ნ რობაქიძის დღევანდელი სიტყვები და გამოსვლა იმ ნაწილში, რომელშიაც ის მოქალაქეთა ერთ ჯგუფს, ვაჭრებს, ეხებოდა, არ შეეფერება იმ მაღალ პოსტს, რომელზედაც ის არის ჩვენ მიერ არჩეული.

ხმოსან კილასონიას, როგორც მან ეხლა აღიარა, ის კი არ უთქვამს, რომ ბ. ქალაქის თავის მოადგილე განზრახ ვაჭრების დარბევისაკენ მოუწოდებს ხალხს, არამედ ის აღნიშნა, რომ მისთანა უხერხულ სიტყვას, რომელიც ბ—ნ რობაქიძემ წარმოსთქვა შეუძლია სამწუხარო და არა სასურველი შედეგები გამოიწვიოსო, არც მეტი და არც ნაკლები.

ყოველ შემთხვევაში მე იმას მოვითხოვ, რომ ეს ინციდენტი დღეს არ იყოს გარჩეული: მე შემომაქვს წინადადება ის იყოს განხილული საბჭოს პირველსავე სხდომაზე როცა ჩვენ უფრო დამშვიდებული ვიქნებით და ერთმანერთის გაგება შეგვეძლება.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც არ შემიძლია არ მივაქციო თქვენი ყურადღება. აქ რამდენჯერმე წარმოთქმული იყო მუქარა ჩვენ მიმართ. ბ—ბო (მიმართავს სოციალისტურ ფრაქციებს) ჩვენ თქვენი მუქარის არ გვეშინია, რადგან ჩვენ წარმოვადგენთ იმ ძალას, ურომლისოთ თქვენ არ ივარგებთ და რომელსაც თქვენ საჭიროებთ.

თქვენ რომ ურიგდებით ჩვენთან მუშაობას და თანამშრომლობას ეს იმიტომ კი არ მოგდით, რომ ჩვენ ძალიან გიყვარვართ, არამედ იმიტომ, რომ თქვენ არ ძალგიძთ გაკეთოთ ის საქმე, რომლის გაკეთება მიზნათ გაქვთ დასახული.

ჩვენი ძლიერება ჩვენ საზოგადოებრივ მნიშვნელობაში მდგომარეობს.

ამას თქვენც კარგათ გრძნობთ და ჩვენთან მუშაობას ამიტომ ურიგდებით.

პაპავა. ჩვენ ბევრი მოგვითბენია და ბევრსაც ვითმენთ. ჩვენ ვითანამშრომლებთ თქვენთან (ეროვნულ-დემოკრატებისკენ) მანამდე, რამდე ამას მოპირდაპირე პარტია დააფასებს. თქვენ ხშირად ირონიით ამბობთ „გვიბრძანეთ და გავჩერდებითო, დიახ მე მოგახსენებთ, რომ ხანდისხან კიდეც გიბრძანებთ. პაპავა იწუნებს ეროვ.-დემოკრ. ორგანიზაციულ დისციპლინას და ამბობს, რომ აქ თქვენ თითონ ეწინააღმდეგებით ერთმანეთსო.

კ. ჩიკვაიძე. აქ ჩვენ გვაწვდიან თავიანთ ორგანიზაციულ დისციპლინას, გუებნებიან თქვენ ერთი მეორეს ეწინააღმდეგებითო. მე ეს დიდ ღირსებათ მიმაჩნია. ყველას საკუთარი აზრი უნდა ქონდეს. ჩვენ, რომ მოვდივართ აქ მიტომ მოვდივართ, რომ მოუსმინოთ ორატორს და შემდეგ გადავჭრათ საკითხი. თქვენ წინდაწინ და ცალკე სწყვეტთ საკითხს და აქ მარტო თითების ასაწევათ მოდიხართ. მაგისთვის რაღა საჭირო ხართ, დასწერეთ სახლში და ისე გამოგზავნეთ აქ თქვენი აზრი თუ ეს წინდაწინ გაქვსთ გადაწყვეტილი. თქვენ უნდა მოხვიდეთ აქ მოუსმინოთ ორატორს და თუ არ მოგეწონებათ თქვენ მაინც რა გიშავსთ, თითებს ხომ მაინც ვერავინ წაგართმევს, ხომ მაინც თქვენსკენ არი თითები. თქვენ თუ ყველას ერთი აზრი გაქვსთ და კილასიონიას უჩივით, მომჩივანი ბატონები და საქმის გადამწყვეტი ერთი და იგივე და ისიც აღლვების დროს არ შეიძლება.

ტრ. ჯაფარიძე. როცა კაცი თავის თავმოყვარეობას იცავს ეს ვერაფერი ვაჟკაცობაა, საქმე ის არის, რომ სხვისი პიროვნება უნდა დაფასოთ. ეჭვით სავსე ხალხს ღვთის წყალობა, ღვთის რისხვათ მიაჩნია. მე როცა ვლაპარაკობდი და რობაქიძე მოვითხოვე აქ მიტომ მოვითხოვე რომ იმაზე მსურდა ლაპარაკი და თითონ გაეგონა, რომ თქვენ ათასჯელ არ გადაგეტრიალებიათ გარეთ. თქვენ როცა ჩვენ გვლანძღავთ, ჩვენ გაჩუმებული ვართ. როცა ჩვენ თქვენზე ვლაპარაკობთ, თქვენ მუშტებს გვიღერებთ. როგორ! თავმოყვარეობა თქვენ მონოპოლიათ კი არ აგიღიათ. საქმეს რიცხვი კი არ სჭრის, რიცხვი თქვენსკენ არის, გადასწყვეტთ და აასრულებთ, მაგრამ ეს არ იქნება სწორი. საქმეს ვითარება სჭრის და არა რიცხვი.

ვ. წერეთელი. ბატონებო თანამშრომლობას შევწყვიტავთ, განვაგრძოთ ამას ქალაქის ინტერესები მოითხოვს. აქ თუ თანამშრომლობა არ იქნა და ჩვენ ჩამოგშორდით, თქვენ მარტო დარჩებით და ისევ თქვენ დაერევით ერთმანეთის. დღევანდელი ინციდენტის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს, მაგრამ ისე რომ არც ერთი ფრაქცია არ იქნეს შეურაცყოფილი.

(სოც. დემოკრატების წინადადებით და მათივე ხმის მიცემით კილასონია ხუთ სხდომიდან დაითხოვეს, რაც უკვე გვქონდა აღნიშნული).

ბაჭუა

კორესპონდენცია.

შკოლების მდგომარეობა თერჯოლის საზოგადოებაში.

ზამთარი იწყება და მალე სკოლებში მეცადინეობა შეუძლებელი გახდება. წარმოიდგინეთ კარებ ჩამტვრეული, მინებ დამტვრეული, სახურავ ახდილი შკოლა და ადვილად დარწმუნდებით როგორ მდგომარეობაში იქნებიან ზამთარში მასწავლებელნი და მოსწავლენი. მოწაფეს ესაჭიროება მოვლა, თუ მას სცივა, თავზე აწვიმს, მთელი ტანით ცახცახებს, ის ვერაფერს ვერ ისწავლის. მოწაფეების და მასწავლებლების ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში ყოფნას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. სიქთარუის შკოლის გამგემ თერჯოლის რაიონის მასწ. ფილიალში განაცხადა: შედით ჩემს მდგომარეობაში, შკოლა დაათვალიერეთ ადგილობრივად და აღძარით შუამდგომლობა სამაზრო ერობის გამგეობასთან, რათა მიაპყროს ყურადღება ჩემს შკოლას, თორემ სწავლის დროს წამომექცევა შენობა და მასწავლებლებიან-მოწაფეებიანათ ამოვწყდებითო...

თერჯოლის უმაღ. დაწყ. სასწავლებელს წელს მოემატა მეოთხე კლასი.

სამაზრო ერობის მოწერილობის თანახმად, დაბალი სკოლის ერთ-ერთი განყოფილება უნდა გადასულიყო საამმართველოს შენობის დარბაზში. პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებით გადატანილ იქმნა სამმართველოს შენობაში, მეოთხე განყოფილება. ღბედურება სწორეთ იმაშია, რომ კომისრისა და საქმის მწარმოებლის ოთახი ამ ზალას აკრავს გვერდში და ყოველი საქმისთვის მოსულმა კაცმა შკოლის ოთახში უნდა გაიაროს. ხმაურობა ხელს უშლის რადგან მოწაფეების გულისყურს ძალაუნებურად ხალხის ხმაურობა იპყრობს. წარმოიდგინეთ მასწავლებლის მდგომარეობა ასეთ შემთხვევაში. მას წყურია მოწაფის გულისყური მიიპყროს, მიიზიდოს იგი და დაკვირებული უხსნის გაკვეთილს, ამ დროს კი ხმაურობაა. ვითომ გაკეთდება რამე ასეთ შემთხვევაში? ნუ თუ ტყვილა არ ჩაივლის მასწავლებლის მუშაობა.

როგორც გავიგეთ ამის შესახებ სასწ. გამგეს გაუმართავს მოლაპარაკება კერძოთ კომისართან. კომისარს კი უბრძანებია: „მე თქვენთვის არა მცალია—მოწაფიან-მასწავლებლიანათ გაგყრით აქედანო“.

საჭიროა ერობის ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

დემოკრატი.

ზეკრის საზოგადოება. ზეკრის საზოგადოების წევრის საქმეთა ერთეულების - ხმოსანთა - არჩევნები მოხდა 28 - ოქტ. არჩევნებს - ხალხი ხლიერ ცოტა დაესწრო 900 ამომრჩეველში 81 გამოცხადდა. ამის მიზეზი არის ის მხოლოდ, რომ აქაურ ხალხს სახალხო საქმეში გარევა არ აინტერესებთ. ეს საზოგადოება კულტურულათ ძლიერ დაქვეითებულია. აქ ნასწავლს იშვიათად შეხვდებით. თუ ვინმეს უსწავლია ქალაქისკენ მიეშურება და თავის საზოგადოებას ზურგს აქცევს. აქ არ არსებობს არავითარი კულტურული დაწესებულება გარდა ერთ კლასიანი სასწავლებლისა, რომელშიდაც ოთხი სოფლის ბავშები იყრიან თავს. მასწავლებელს უხთება თავისი ფეხით ჩამოვლა, მთელი ოთხი სოფლის თვითეულ მოსახლესთან, ბავშები თუმცა მოიკრიბა და კიდევაც ემატებიან, მაგრამ „პარტები“ არ აქვთ, თვითეულ პარტაზე ხუთი ბავში ზის, რაც ძალიან აფერხებს მეცადინობას.

შ. როკითელი.

აბაშის რაიონი. აქ არსებობს თითქმის ყველა მოზრდილ სოფელში სამკითხველოები, სადაც მოიპოვება ყოველ ნაირი ჟურნალ-გაზეთები. მკითხველებით ყველა ბიბლიოთეკა მდიდარია, მხოლოდ შემოწირულების სახით კი ძალიან ღარიბი, თვით სამკითხველოს გამგეობას კი ამისათვის წყარო ვერ გამოუძებნია.

ჩემის აზრით სამკითხველოს უნდა ყავდეს მუდმივი წევრი, რომელთა საწევრო და სხვა შემოწირულებათაგან უნდა შეადგენდეს სამკითხველოს საარსებო საგანს, ყველაზე მეტად ეს შეეხება დაბის სამკითხველოს, რომელშიაც დიდ-ძალი მუდმივი მკითხველი იყრის თავს, მაგრამ მათი წევრათ ჩაწერა და რეგისტრაცია კი სამკითხველოს გამგეობას აზრადაც არ მოსვლია. საჭიროა დაბის სამკითხველოს გამგეობა ამას მიაქცევდეს ყურადღებას და შემოიღებდეს მუდმივ წევრთა. რეგისტრაციას.

ვალ. წულეისკირი

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ მომცეთ საშვალება მადლობა გამოუცხადო. 1) ქუთაისის ფოსტის მოსამსახურე მარუსია ჭუმბურიძის ასულს, და 2) მასწ. გალინა ისიდ. ქოჩიაშვილის ასულს, რომლებმაც თერჯოლის უფასო წიგნ.-საცავ სამკითხველოს ერთდროულად შემოსწირეს 50 მანათი თითომ.

თერჯოლის სამკითხველოს გამგეობის მონდობილობით **ბ. გუთნურისპირელი.**

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

სტამბა ნ. ფერაძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.